

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაერთთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS



Scientia

Scholarly Journal

საშეცნიერო
ჟურნალი

#5

SCIENTIA POTENTIA EST | ცოდნა ძალაა

www.scientia.ge

თბილისი | TBILISI

2024

მთავარი რედაქტორი

მანუარ ვუნცაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სარედაქციო საბჭო

მარტინა ბიბუნიაკი | კოტხდავის უნივერსიტეტი

თამაზ გოგოლაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ზურაბ თარგამაძე | ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი

რადოსლავ კანარკოვსკი | კრაკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ვლადიმერ კეკელია | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ლევან კოჭლავაშვილი | არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მარია ლიდოვა | ოქსფორდის უნივერსიტეტი

იორდან ლუციაწოვი | ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია

ჰიროტაკა მადა | ტოკიოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტი

შოთა მათითაშვილი | ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

გორ მარგარიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გიორგი მირზაბეკიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დავით ნასყიდაშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ნინიძე | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტეფანო კელაჯი | რომის საკინცას უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ჟღენტი | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ნესიმი რზაიევი | ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ედუარდო სანჩესი | ვალადოლიდის უნივერსიტეტი

სოფიო ქადაგიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მიხეილ ქართველიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მათია კირიატი | ბარსელონის უნივერსიტეტი

გურამ ჩხატარაშვილი | ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი

ზაზა ცინაძე | წმ. ანდრეას ქართული უნივერსიტეტი

EDITOR-IN-CHIEF

MANUCHAR GUNTSADZE | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

EDITORIAL BOARD

MARTINA BITUNJAC | UNIVERSITY OF POTSDAM

TAMAZ GOGOLADZE | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ZURAB TARGAMADZE | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

RADOSLAW KANARKOWSKI | KRAKOW INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

VLADIMER KEKELIA | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

LEVAN KOCHLAMAZASHVILI | ARNOLD CHIKOBAVA LINGUISTICS INSTITUTE

MARIA LIDOVA | UNIVERSITY OF OXFORD

YORDAN LUTSKIANOV | BULGARIAN ACADEMY OF SCIENCES

HIROTAKE MAEDA | TOKYO METROPOLITAN UNIVERSITY

SHOTA MATITASHVILI | CENTRAL EUROPEAN UNIVERSITY

GOR MARGARIAN | ARMENIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

GIORGI MIRZABEKYAN | ARMENIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

DAVIT NASKIDASHVILI | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

TAMAR NINIDZE | AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

STEFANO PELAGGI | SAPIENZA UNIVERSITY OF ROME

NIKOLOZ ZHGENTI | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

NESIMI RZAYEV | BAKU STATE UNIVERSITY

EDUARDO SANCHEZ | UNIVERSITY OF VALLADOLID

SOPHIO KADAGISHVILI | IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

MIKHEIL KARTVELISHVILI | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

MATIA CHIRIATTI | UNIVERSITY OF BARCELONA

GURAM CHKHATARASHVILI | BATUMI ARCHAEOLOGICAL MUSEUM

ZAZA TSINADZE | ST. ANDRIA GEORGIAN UNIVERSITY

UDC (შპკ) 93/94:902/904:39:8

(051)

S-40

ISSN 2667-9590

e-ISSN 2667-9604

© Scholarly Journal Scientia | სამეცნიერო ჟურნალი Scientia

**მარიამ კობერიძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გორი, საქართველო
maikoberidze@gmail.com
orcid: 0000-0002-6604-1628

ბერ- ძირიანი ლექსიკის მოდელი ქართულში

წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილია ბერ - ძირიანი ლექსიკა. ძველი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტებზე, ლექსიკონებზე, ეთნოგრაფიულსა და დიალექტურ მონაცემებზე დაკვირვება გვაძლევს საშუალებას, გამოვავლინოთ ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეული „ბერი“ და მისგან ნაწარმოები ლექსიკის სტრუქტურა, გამოყენების სიხშირე, გავრცელების არეალი და სემანტიკური კავშირები.

„ბერ“ - ელემენტის პროდუქტიულობასა და გამოყენების სიხშირეზე მიუთითებს წარმოების საშუალებებითა და კომპოზიციური სიტყვათშეერთებით მიღებული მრავალრიცხოვანი საზოგადო და საკუთარი სახელები. ყურადღებას იქცევს, ბერ-ძირის სემანტიკური მრავალფეროვნება და ადგილის, ციხის, პირსახელებისა და გვარსახელების წარმოების მოდელი.

საგულისხმოა კონვერსიის შედეგად „ბერი“ საზოგადო სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან აფიქსების საშუალებით საკუთარ სახელში გადანაცვლებით ტოპონიმთა და ანთროპონიმთა წარმოება.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ლექსიკა, ბერი, სემანტიკა, პირსახელი, გვარსახელი, ადგილის სახელი, სტრუქტურა, წარმოება.

ბერ-ძირიანი ლექსიკა ენათმეცნიერული კვლევის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი უბანია. მისგან ნაწარმოებ ლექსემათა ფონეტიკური, გრამატიკული და სემანტიკური მხარეების ქრონოლოგიური შესწავლა და ანალიზი აქტუალურია.

ბერი პოლისემანტიკური სიტყვაა. ქართულში გვხვდება მასთან დაკავშირებული ტერმინები და განმარტებები. ილია აბულაძე ძველი ქართული ენის ტექსტებზე დაყრდნობით იძლევა **ბერ-ი** სიტყვის განმარტებას - **მოხუცებული; მონაზონი:** „ჰკითხა ძმამან ვინმე ბერსა ... ჰრქუა მას ბერმან“ მ, ცხ, 90. ბერობა, დაბერება, დედაბერი, დედაბერებრი, სიბერე, უბერესი. ბერვა „შებერვა“, ჩაბერვა: დაბერვა, მიბერვა, შებერვა, ბერვა... (აბულაძე 1973, 131, 139).

ბერი - ხანში შესული - **ხანმრავალი კაცი**. ბებერი, ბერობა, დააბერა, დედაბერი, კაცი, ჯევის-ბერი (ორბელიანი 1991, 102).

ბერ-ი (ბერისა): 1. ბებერი, მოხუცებული, დიდი ხნის (ადამიანი)//

საერთოდ, დიდი ხნისა, ბებერი (რამ); 2. საეკლესიო ძმობის წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღქმა აქვს დადებული//ბერად აღიკვეცება, ბერად აღკვეცილი (ქეგლი 2008, 996).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ბერი თავდაპირველად აღნიშნავდა ჩვილს (Mapp 1935, 351-355; სურგულაძე 1989,40,41).

ივანე ჭავჭავაძის მოსაზრებით, „ჭასაკი სამ უმთავრეს წლოვანებას შეიცავდა, რომელთაც ეძახდნენ ხოლმე „ჭაბუკს“, „შუა კაცს“ და „ბერს“. ბერი ვაჟიშვილის აღმნიშვნელი საერთო ქართველური სიტყვაა (ჭავჭავაძის 1928, 366;1937, 186).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საზოგადოებრივ - საკულტო ნაგებობას განეკუთვნებოდა **დარბაზი** ანუ **საბერო** - ხევისბერთა სამყოფელი (ერიაშვილი 198, 124). გამოთქმული ვარაუდის საფუძველზე, **ბერი** ერთ-ერთი თავდაპირველი მნიშვნელობით ასაკით უფროსის (და არა ასაკით ყველაზე უფროსის - მოხუცის) ზოგადად მნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო, რის ნიადაგზეც შემდეგ თანდათან უნდა განვითარებულიყო ბერის, როგორც უფლებრივად უფროსის მნიშვნელობა. ბერი უნდა რქმეოდა ასაკით უფროსს, მნიფე ასაკის მამაკაცს.

მოხევეთა რწმენით, სალოცავი უფროს ვაჟს ამიზებებს და ამიტომ მას **ბერადაც შეაყენებდნენ**. ამის გამო სამ წლამდე თმას არ აჭრიდნენ. ივანობის დღესასწაულზე **ბერად შეყენებული** ვაჟი სალოცავში მიჰყავდათ, ხელში კელაპტარს დააჭერინებდნენ და სალოცავს შეეხვეწებოდნენ: „თავის სწორი კელაპტარი, თავის სწორი არკამელი, ბერად იყვის სამი წელი შენს აღმანზეო“ (ლუდუშაური 2011, 5). დღეობაზე ბავშვის **ბერად შეყენების** წესი გვიანობამდე იყო დაცული (ბიწაძე 2015, 139-140).

ქრისტიანული თვალსაზრისით, ბერობა სიკვდილთან არის გაიგივებული, რადგან ბერი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის კვდება. მოხეურ სალოცავში ვაჟის **ბერად დაყენება**, საეკლესიო - სადღესასწაულო პრაქტიკაში უსისხლო მსხვერპლის შეწირვაა (მაკალათია 1934, 244).

ალ. ხახანაშვილმა სათანადო ადგილი დაუთმო მთიელთა გლოვის წესების აღწერას. მიცვალებულის ნათესავები შავებით იმოსებიან, ქალები თმას იშლიან, კაცები წვერსა და თმას იყენებენ ხანდახან წლამდე. ამიტომ ხალხი იმათ უწოდებს **„წლის ბერებს“** (ხახანაშვილი 1888, 2-3; კობერიძე 2022, 287).

მთის გარდა, ტერმინი **ბერი** დამონმებულია ბარის რაიონების ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. ქართლში „ბერად დაყენების“ და კახეთში ბავშვის „ბერად შეყენების“ წესები ოდინდელი სოციალურ-რელიგიური ფუნქციით ფშავ-ხევსურეთში დამონმებული ბავშვის „მიბარების“ წესების ანალოგიურად არის მიჩნეული (ერიაშვილი, 1982, 147-150).

მთიანეთის გარდა, ტერმინი ბერი დამონმებულია ბარის რაიონების ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. **„ბერად დაყენების“** წეს-ჩვეულება ფიქსირდება ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალებშიც, რომლის მიხედვითაც **ბერი** ძველი ჩვეულებით ხატისათვის შეთქმული ბავშვია, რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში თმას არ შეუკრეჭდნენ. „ბავშვი რო ავადმყოფობდა ხომე, ხატს შეუთქვამდნენ, ამდენხან ბერად ვამყოფებთო, თმას მოუზდით, შენ კარებზე მოვიყვანთ და მერე შევჭრითო“ (ბრონლეთი). ამავე ლექსიკონში დასტურდება ტერმინი - **ბერზვარა**, რომელსაც ძველი ჩვეულებით, ხატისათვის შეთქმულ საკლავს უწოდებდნენ. „რამეს რო შესთხოვდნენ რაცხა, შეუთქვამდნენ შესანიშნავსა, დააყენებდნენ **ბერზვარას**, მოზვერს ან დეკეულს“ (ერედვი) (მესხიშვილი 2006, 75, 76).

ჩვენ მიერ მოძიებული მასალებით, ფრონის ხეობაში უშვილო ცოლ-ქმარი ან ოჯახი, რომელსაც ვაჟი არ ჰყავდა, დირბის ღვთისმშობლის ტაძრის „მიდგომილი ღვთისმშობლის ხატს“ შეუთქვამდნენ ნანატრი შვილის „ბერად დაყენებას“ (კობერიძე 2023, 258). ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილია, რომ სოფელ ანაგის წმინდა მთავარანგელოზის ეკლესიაში, როგორც ვაჟების მფარველი ანგელოზისა, ბერად ანუ კურეტად შაყენების საკრალური წესი ჰქონდათ. „ბერად შაყენება“ 15 წლის ასაკამდე იყო დასაშვები (აბაკელია 1997, 22.).

ვ. ბარდაველიძის მიერ ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილია, როცა ოჯახს შვილი არ უჩნდებოდა, ან არ ჩდებოდა და არა რჩებოდა, ან ავადმყოფობდა, ოჯახის უფროსი კაცი ან ქალი (ან თვით ავადმყოფი) თავის სალოცავს შეუთქვამდა: ოღონდ შვილი გამიჩინე, ან გამიზარდე თუ ავადმყოფი მომირჩინე და ამდენი ხნით „ბერად დაგიყენებო“. რამდენი წლითაც შეუთქვამდნენ, იმდენი წლის განმავლობაში შეთქმულ პირს თმას არ მოჰპარსავდნენ და უზრდიდნენ, შემდეგ ხატში წაიყვანდნენ საკლავით და სანთელ სამწყალობნოთი და დეკანოზს ან მღვდელს შეაკრეჭინებდნენ. „ბერად შეყენება“ იცოდნენ 10-13 წლის ბავშვისაც და დიდი ვაჟკაცისაც (ბარდაველიძე 1947, 5-65; ანთელავა 2017, 163).

გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, კურეტად ან ბერად დაყენება წარმოადგენდა შესანიშნავ წეს-ჩვეულებებს და ინიციალური სიმბოლიკის ნიშნებს ატარებდა. კურატად შეთქმულ ბავშვებს ფაქტობრივად ათანაბრებდნენ სამსხვერპლო ცხოველებთან, რაც გულისხმობდა მსხვერპლშენიშვას. ბავშვი // კურეტი განიხილებოდა მსხვერპლად და მსხვერპლშენიშვის შემდეგ განახლებული, გამოჯანმრთელებული ოჯახს უბრუნდებოდა (აბაკელია 1997, 26.).

ბერ-ისაგან სიტყვანარმოებითა და სიტყვაშეერთებით (კომპოზიციის შემადგენელ ნაწილად) მიღებულია სემანტიკური

ნაირსახეობები.

სიტყვანარმოება (ძირი+ აფიქსი): ბერობა (←ბერ+ობა. -ობა განყენებულ სახელთა მანარმოებელი)- 1. სიბერე, მოხუცებულობა; 2. ბერად ყოფნა, ბერმონაზვნობა; 3. ბერების კრებული (ქეგლი 2008, 996). დაბერება (სანყისი← დაბერდება ზმნა); სიბერე (← სი-ბერ-ე. განყენებული სახელი); უბერესი -- მეტად ბერი (აბულაძე 1973, 31, 388, 417). უ-ბერ-ეს-ი. უ-ეს უფროობითი ხარისხის მანარმოებელია.

ბერ- კომპოზიტის შემადგენელი ნაწილია: დედაბერი (←დედა+ბერ-ი)- ხანშიშესული ქალი; დედაბერებრი (←დედა+ბერ+ ებრი)- დედაბერის მსგავსი; ბებერი (←ბერ-ბერი. კომპოზიტი მიღებულია ძირის გაორკვევით, რ- ბგერის ჩაგდებით)-ხანშიშესული, ასაკოვანი ადამიანი; შინაბერა (შინა+ბერ+ა)- გაუთხოვარი ქალი; ბერბიჭა (ბერ+ ბიჭ+ა. -ა კნინობითობის მანარმოებელი) - დაუქორწილებელი მამაკაცი; ბერიკაცი (←ბერი+ კაცი) - მოხუცებული მამაკაცი. ბერიქალი (←ბერი+ ქალი) - მოხუცებული ქალი; ხევისბერი (←ხევის+ბერი)- უფროსი მამაკაცი...

ქართულში დასტურდება ბებერა (←ბერ-ბერ+ა) - 1. დამწვრობის, დაზიანების შედეგად ამობერილი, წყალჩამდგარი კანი. 2. ობობა, ბოსტანა ჭია. ბერყენა -ყყყერი, შტერი კაცი. ბერყაფული - დაუფიქრებელი, წინდაუხედავი კაცი. ბებერუა - ბავშვი, რომელიც დიდივით იქცევა (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981, 59). ბებერუა (←ბერ+ბერ-ო-ა).

ბერ-ძირი გამოვლინდა გეოგრაფიულ სახელებში (კომპოზიტის პირველი ნაწილია ბერი): ბერიქალი- ციხე ბოლნისის მუნიციპალიტეტში. ვახუშტი ბაგრატიონი ბერიქალის ციხის შესახებ გადმოგვცემს: ხულუტის ციხის „ქუეით, სამხრით არს ციხე ბერიქალისა“ (ბატონიშვილი 1973, 322, 11). ბერიქალი სოფელი იყო, XVIII ს-ის ქცის სოფლების ჩამონათვალშია ნახსენები (ბაგრატიონი 1986, 51; ლორთქიფანიძე 1935, 291). ამჟამად ნასოფლარია (გამყრელიძე და სხვები 2013, 106).

ბერთა - სოფელი წალკის რაიონში; ბერთა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში IX საუკუნით თარიღდება. ამ სავანის მოღვაწე იყო ზეკეპე ბერეთელი (XI საუკუნე) (მენაბდე 1962, 47). ბერთა←ბერ-თ-ა. სახელი ნანარმოებია თანიანი მრავლობითის მანარმოებლით. ქარელის მუნიციპალიტეტში, ძამას ხეობაში მდებარეობს სოფელი ბერთუბანი (ბერ-თ+ უბანი) და ბერთუბნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. ბერთუბნის ღვთისმშობლის ტაძარი დავით გარეჯის სამონასტრო კომლექსში შემავალი ტაძარია, XII საუკუნის (დვალი 2019, 231-233).

ბრეთი - სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში. ბრეთი ← ბერ+ეთი. ძირში ჩაგდებულია ე ხმოვანი. ბერბუკი (←ბერ+ ბუკი) - სოფელი გორის მუნიციპალიტეტში. ბერშუეთი - სოფელი გორის მუნიციპალიტეტში. ბერშუეთი ←ბერ+ შო-ეთ-ი. ამავე სოფელში

გვხვდება მდინარე ბერშოულა (ბერ+ შოულა. შოლა მდინარის სახელწოდებაა ხაშურის მუნიციპალიტეტში); ბეყმარი (← ბერ-ყმა - რ-ი) (სოფელი ფრონის ხეობაში). ძირში ჩაგდებულია რ თანხმოვანი.

ბერ- ძირი გვხვდება ადგილის სახელწოდებებში: ბერაანთ მიწები (ბერბუკი); ბერიმიწები (არაშენდა); ბერიფონი (ზ. ნიქოზი); ბერღალა (ახალუბანი, ჯარიაშენი, არბო); ბერყენა (ქერე) - პანტის ჯიში.

ბერი გვხვდება ციხის სახელწოდებებშიც: ბერიციხე - ციხე ქსნის ხეობაში, ბერციხე- ციხე თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

ისტორიულ დოკუმენტებში დასტურდება **ბერეთელი**: ბერი იმერეთის მეფის გიორგი მესამის უმცროსი ვაჟი; **ბერი** ეგნატაშვილი, **ბერი** ერუშნელი, **ბერი** მღვმელი (მწერალი). **ბერსაბე** (ბიბლიური დავითის პირველი ცოლი) (ქართლის ცხოვრება 1959, 177, 326, 365. 415, 522).

„ბერი“ საზოგადო სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან აფიქსების საშუალებით საკუთარ სახელში გადანაცვლებით ნაწარმოებია პირსახელები და გვარსახელები.

ბევრი იმ სიტყვათაგანი, რომელიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება, ჯერ საკუთარ სახელად (ან მეტსახელად) ყოფილა გამოყენებული და შემდეგ ამ სახელთაგან წარმოქმნილა გვარი (ჭუმბურიძე 1987, 319).

ი. მაისურაძე გვარებთან დადასტურებულ ბერ - კომპონენტს განიხილავს როგორც მამრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვას. მეცნიერის ვარაუდით, ბერი თავდაპირველად იხმარებოდა ზოგადი მნიშვნელობით, რასაც ამტკიცებს მისი სემანტიკური ცვალებადობა. სწორედ ეს ზოგადი მნიშვნელობა დაედო საფუძვლად მამაკაცის საკუთარ სახელთა შექმნას წარსულში, როგორც წარმოქმნილ ფორმებს, ისე კომპოზიტებსაც (მაისურაძე 1965, 237, 241). ხაზგასასმელია გვარებთან დადასტურებული ბერ-კომპონენტის, როგორც მამრობითი სქესის აღმნიშვნელის სემანტიკა.

რატომ უნდა ყოფილიყო კაცის (უფრო სწორად ბავშვის) სახელად ბერი? ამის ახსნა მოცემული აქვს ივანე ჯავახიშვილს : „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების მთავარი ადგილი უკავია“. წმინდა გიორგისათვის შეთქმულ ბავშვებს მთელ საქართველოში „ბერს“ ეძახდნენ, წმინდა გიორგის ხატის მთავარ მსახურსაც ხომ „ხევისბერი“ ერქვა, მამასადამე, ყველა, ვისაც კი წმინდა გიორგის - მთავარი მსახურის და მონობის აღთქმა ჰქონდა დადებული ბერად იწოდებოდა (ჯავახიშვილი 1960, 90, 95).

წყაროებში დაცული ტერმინი „თავადი ჯევისა ბერი“, „ქალაქის ბერნი“ („ძველი ერისთავთა“, „ქართლის ცხოვრება“), მიუთითებენ ბერის დამოუკიდებელ, თავდაპირველ არსებობაზე, ერთ შემთხვევაში ბერი ხევისაა, მეორე კი ქალაქის. ეს უკანასკნელი,

ბარის საქართველოში ბერის ინსტიტუტის არსებობის ფაქტზე მეტყველებს (ერიაშვილი, 1987,124).

შესაძლებელია გამოვყოთ ბერ- ძირიანი პირსახელების ასეთი მოდელი:

1. მარტივი ანუ ძირეული - ძირი+ ი: ბერ-ი. „რუისის სამწყსოს დავთარში“ ბერი პირსახელის გამოყენების 169 შემთხვევა დასტურდება (თაყაიშვილი 1907, 129-206). ბერი გამოიყოფა გვარსახელებში - **ბერიძე, ბერიშვილი...**

2. წარმოქმნილი პირსახელი: ა) ძირი+ ო (წოდებითი ბრუნვის ნიშანი): **ბერო (←ბერ+ო)**. დასტურდება გვარსახელში **ბეროშვილი (←ბერო+ შვილი)...**

ბ) ძირი+ უა (←ოა): **ბერუა (←ბერ-ო-ა. შდრ. დათუა –დათოა; გიგუა –გიგოა. -ამოფერებით-კნინობითის მანარმოებელი აფიქსი ერთვის ო-ზე დამთავრებულ სახელს და უ-დ გარდაიქმნება. ვანო-ვანუა, ბერო-ბერუა. შესაძლებელია ეს უა ნიუანსურად კნინობითობის -უნა, -უკა-ს სიახლოვითაც აიხსნას (ხორნაული 2003, 236). ბერუა გამოიყოფა გვარსახელში - ბერუაშვილი (←ბერუა+შვილი)...**

გ) ძირი+-ა (მოფერებით-კნინობითის მანარმოებელი): **ბერა**. აღნიშნული პირსახელი გვხვდება გვარსახელში **ბერაძე (←ბერა+ ძე), ბერაია (← ბერ-ა-ი-ა) ...**

დ) ძირი + უკა: **ბერუკა (←ბერ+უკა). -უკა კნინობითობით-საალერსო ფორმის მანარმოებელი უმთავრესად რაჭულში გამოიყენება, სადაც ყველანაირ სახელს დაერთვის, საკუთარსაც და საზოგადოსაც (ვარლამუკა, ხელუკა, წყალუკა...), ფშავ-ხევსურეთში მხოლოდ ადამიანთა სახელებს ანარმოებს დედუკა, ბაბუკა (ბაბუკი), სამუკა, ნანუკა (ხორნაული 2003, 236). ... სახელი გამოვლინდება გვარსახელში ბერუკაშვილი...**

ე) ძირი+ იკა. -იკა კნინობითობის მანარმოებელია. ქართულში გავრცელებულია გვარი **ბერიკაშვილი**. გვხვდება გვარი **ბერეკაშვილი**, რომელიც გვავარაუდებინებს პირსახელს **ბერეკა**. სახელი მიღებული უნდა იყოს **ბერიკა-საგან. ბერეკა (←ბერ + იკა)**. იგივე წარმოება უნდა გვექონდეს გვარში ბერიკიშვილი. გვარი **ბერიკელაშვილიდან** შესაძლებელია გამოვყოთ სახელი ბერიკელა, რომელიც ნანარმოებია ორი კნინობითობის აფიქსით (-იკ და -ელა) **ბერ+ იკ+ ელა**.

ვ) ძირი + ე: ბერე. პირსახელი ბერე დასტურდება „რუისის სამწყსოს დავთარში“ (ცხადაშვილი ბერე (ბალთა), გოგიბაშვილი ბერე (ნაბახტევი) (თაყაიშვილი 1907, 157). აქ იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს „ბერე-ს“, რაც ჭანურში აქვს „ ბავშვი“, „შვილი“, „ძე (ბიჭი)“ (ჩიქობავა 2008, 39, 40). ბერე ჭანურში მეორადი სუფიქსაციის გარეშე მხოლოდ ერთ გვარშია შემონახული. ესაა: კაკუბერი „კაკუს ძე“, დანარჩენ შემთხვევაში ბერე (ბერი) დაბოლოებიან ფორმებს დართვია -ა სუფიქსი (სამეგრელოში) და -ძე (აჭარა-გურია-

იმერეთში) (ცხადაია 2000, 29).

ზ) ძირი+ ი+ა (-ა კნინობითის მანარმოებელი აფიქსი): ბერია. პირსახელი დასტურდება „რუისის სამწყსოს დავთარში“ (ნოზაძე ბერია (სატივე), კიკნაძე ბერია (ოძისი) (თაყაიშვილი 1907, 181, 205). იგივე ა არის საკუთარ სახელებში: პეტრი-ა, პავლი-ა (მოსალოდნელი იყო: პეტრე-ა, პავლე-ა) (შანიძე 1953, 121). სახელი დასტურდება გვარების შემადგენლობაში: ბერია, ბერიაშვილი...

თ) საყურადღებოა, ბერ- ძირზე -იტა, -ელა, -ულა, -ოზა, -იან, -უხა, -ურა, -იკ-ელა, ნ-ა, -ელ სუფიქსების საშუალებით ნანარმოები პირსახელები: ბერიტა (←ბერ+იტა), ბერელა (←ბერ+ელა), ბერიანი (←ბერ+იან-ი), ბერიზა (←ბერ+იზა), ბერულა (←ბერ+ულა), ბერუხა (ბერ+უხა), ბერურა (←ბერ+ურა), ბერიკელა (←ბერ-+იკ+ელა), ბერნა (←ბერ-ნ-ა), ბერსელი (ბერ+ ს+ელ) - სახელთა საერთო ძირია ბერ- . ამათგან-ულ, -იტ, -უტ, -ურ კნინობითობის მარტივი სუფიქსებია, რომლებიც სრულდება -ა ელემენტით (თოფურია 1979, 102).

აღნიშნული პირსახელები გამოიყოფა გვარებში: ბერიტაშვილი, ბეჟიტაშვილი, ბერელაშვილი, ბერურაშვილი, ბერიანიძე, ბერუხაშვილი, ბერულავა, ბერულავაშვილი, ბეროზაშვილი, ბერიკელაშვილი, ბერნაძე (მდრ. ბურნაძე), ბერსელიძე

3. თხზული ანუ კომპოზიტიური სახელები, რომლის ფუძეში ორი საკუთარი სახელია. მაგ.: კახაბერი, ჭიაბერი, ჯანიბერი, ყურაბერი, შალაბერი, კაკუბერი, დოლაბერი, თავბერი, კილაბერი, ლოსაბერი, მიქაბერი, სულაბერი, შიობერი, ჯოხთაბერი, გაგიბერი, გიორგიბერი, გულაბერი, იაბერი, მალალაბერი..... ბერს კომპოზიტებში მეორე ადგილი უჭირავს. ასეთი პირსახელები დღეს აღარ გვხვდება. ჭიაბერი და კახაბერი ისტორიულ პირთა სახელებია.

აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია, ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ დროთა განმავლობაში ბერის მნიშვნელობა შესუსტდა და იგი შეეზარდა ბერის განსაზღვრულ სახელებს, შეიქმნა მამაკაცის ახალი რთულფუძიანი საკუთარი სახელები: კახაბერი, მიქაბერი, ცხადაბერი, თავაბერი... ამ ტიპის ზოგიერთი სახელი - თუთაბერი, კაკუბერი, ჟამთაბერი, გოგიბერი, კახაბერი დამოუკიდებელ გვარებად გვევლინება.

ი. მაისურაძე მართებულად აღნიშნავს, რომ რთულფუძიან გვარებში ბერ- ძირის გამოყენება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ის საკუთარ სახელად გადაიქცეოდა. რაც იმას ნიშნავს, რომ გოგიბერი, კახაბერი და მისთ. საკუთარ სახელთა წყვილეულებს კი არ უნდა წარმოადგენდნენ (გოგი და ბერი, მიქა და ბერი), არამედ აქ მხოლოდ პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო მამაკაცის სახელი (მიქა, გოგი), ხოლო ბერ-ი ზოგადი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო გამოყენებული როგორც პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი, მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა (ვაჟი, ბიჭი, ყრმა) (მაისურაძე 1965, 237, 241). აღნიშნული თვალსაზრისით, გოგიბერი

არის არა გიორგის ვაჟი, არამედ გიორგი ვაჟი. იგივე შეიძლება ვთქვათ სხვა რთულფუძიან გვარებზე, რომელიც გამოავლენს რთულფუძიან პირსახელებს.

ბერ- კომპონენტის რთულფუძიანი გვარების რამდენიმე მოდელი შეიძლება გამოიყოს: 1. ბერ- კომპოზიტში პირველი კომპონენტი: ბერბიჭაშვილი (← ბერ-ბიჭა-შვილი), ბერკაცაშვილი (← ბერ-კაცა-შვილი); ბერყმაძე (← ბერ+ ყმა-ძე) ...

2. -ბერ- კონპონენტი კომპოზიტში მეორე ადგილზეა: შიობრიშვილი (← შიო-ბერი-შვილი), გოგიბერიძე (← გოგი- ბერი-ძე), დოლიბერი (← დოლი-ბერი- ძე), კახაბერიძე (← კახა-ბერი-ძე), გოგიბერაშვილი (გოგი-ბერა-შვილი), მაჩაბერიძე (← მაცა-ბერი-ძე), მაცაბერიძე (← მაცა-ბერი-ძე), ლოლობერიძე (← ლოლო + ბერი+ ძე), კობერიძე (კო-ბერი-ძე)...

კობერიძე გვარის მანარმოებლად ზ. ჭუმბურიძეს სიტყვა ბერი მიაჩნია, ისევე როგორც ძე და შვილი (ბერე ჭანურად „შვილს“, „ვაჟს“ ნიშნავს) (ჭუმბურიძე 1987, 345). **კობერი** როგორც ტადარი, მოიხსენიება 1292 წელს, რომელიც შეუკეთებია გიორგი ბერს. „კობერი და ამუჭი მაშინ ქართველთ სოფელი იყო, ან გასომხებულნი“ (ჟორდანიას 1897, 168). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ადასტურებს სოფელ ზემო - მარელის (უდე) გადასახადის გადამხდელ კომლთა ჩამონათვალში კომლებს: აბრამ კობერისძე, როსტევან კობერისძე (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი 1941, 62). გვარსახელი გამოვლენილია 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარში“ (ფრონის ხეობა - კობერიძე მამუკა (წორბისი), კობერიძე პაატა (ხრტანა) (თაყაიშვილი 1907, 146). ი. ახუაშვილის მოსაზრებით, გვარი იქნებოდა კობირეკოიძე, ისევე როგორც გიორგბერე (გიორგიშვილი ბერე - „გიორგის ძე“, შდრ. გიორგაძე, გიორგისძე); ასევე გოგიბერე (გოგიძე, გოგიშვილი)... (ახუაშვილი 2005, 466).

გასათვალისწინებელია მეცნიერთა მოსაზრებები **კობერიძე** გვარის მანარმოებლად ბერი-ს გამოყოფის შესახებ. ვფიქრობთ, კო-პირსახელზე უნდა მიგვანიშნებდეს (შესაძლებელია ჩაგდებული იყოს ფონეტიკური პროცესის შედეგად რომელიმე ბგერა), ხოლო ბერი ძეს, გვარიშვილობას აღნიშნავდეს. საგულისხმოა მოსაზრებაც, კობერიძეების სოფელ კობერადან (სამხრეთ საქართველო) წარმოშობის შესახებ.

3. კომპოზიტურ გვარსახელში ბერ-ი წარმოდგენილია გარკვეული ფონეტიკური ცვლილებით:

ა) სიტყვაში ბერი იკარგება ე ხმოვანი: დედაბრიშვილი← დედაბერიშვილი; ჭიაბრიშვილი← ჭიაბერიშვილი; შიობრიშვილი← შიობერიშვილი.....

ბ) რ-ს დისიმილაციით:

გურაბელიძე← გურაბერიძე ← გურამ ბერიძე;
ტურბელიძე← ტურაბერიძე← ტურა ბერიძე

გ) გვარის ბერის გაორკეცებითაა წარმოდგენილი: ბერბერაშვილი (← ბერ-ბერ-ა)...

ამრიგად, საანალიზო მასალებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ბერი ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულია, მისგან წარმოების საშუალებებითა და კომპოზიტიური სიტყვათშეერთებით მიღებულია მრავალრიცხოვანი საზოგადო და საკუთარი სახელები, საინტერესოა, ბერ-ძირის სემანტიკური მრავალფეროვნება და ადგილის, ციხის, პირსახელებისა და გვარსახელების წარმოების მოდელი. ბერ- ძირი საზოგადო სახელებში დღევანდელი გაგებით ასაკის, მოხუცებულობის, ხნოვანობის გამომხატველია (შინაბერა, ბერბიიჭა...). ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელებში უმეტეს შემთხვევაში ბერ-ი გამოხატავს ბერ-მონაზვნის, საეკლესიო პირის სემანტიკას (ბრეთი, ბერთა, ბერთუბანი, ბეყმარი..), თუმცა სახნავ-სათესი ადგილის სახელწოდებებში (ბერიმინები, ბერყენა...) სიბერის, ხნოვანობის გამომხატველი უნდა იყოს.

ბერ- ელემენტიანი გვარების სემანტიკური და ფონეტიკური ცვალებადობა გვიმტკიცებს, რომ იგი თავდაპირველად ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა. საზოგადო სახელიდან აფიქსაციის გარეშე ან აფიქსების საშუალებით საზოგადო სახელი გადაიქცა პირსახელად ან პირსახელი ერთი ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან გვარსახელში გადავიდა. საკუთარი სახელის მამრობითი სქესის, ძის, შვილის ჩვენება განსაზღვრავს გვარსახელებში დადასტურებული ბერ-ძირის სემანტიკას. ამგვარი ტენდენცია დღესაც შეინიშნება ქართული ენის დიალექტებში, განსაკუთრებით ქართლში (მაგ.: ვახტანგის ბიჭი, თედოს ბიჭი ...).

მიუხედავად დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებებისა, ეთნოლინგვისტური ტერმინის „ბერად დაყენების“, „ბერად შეყენების“, „ბერად მიბარების“, „წლის ბერების“ მნიშვნელობის დაზუსტება და აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარში გავრცელებული ტრადიციისათვის თვალის მიდევნება გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ „ბერი“ ლექსიკური ერთეული და მისი შესწავლა, ახლებურად გააზრება მნიშვნელოვანია თანამედროვეობასთან მიმართებაში.

დამონემაანი

აბაკელია, ნინო. 1997. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი.

აბულაძე, ილია. 1993. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი.

ანთელავა, ნუგზარ. 2017. კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალი.

თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ახუაშვილი, იაკობ. 2005. ქართული გვარ-სახელები. მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის. II. თბილისი.

ბაგრატიონი, იოანე. 1986. ქართლ-კახეთის აღწერა. საქართველოს ისტორიის წყაროები. 41. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბარდაველიძე, ვერა. 1947. ეთნოგრაფიული ჩანაწერები მეცნიერის არქივიდან (ქართლი). თბილისი.

ბატონიშვილი, ვახუშტი. 1973. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტომი IV. თბილისი.

ბეროზაშვილი, თამარ. 1981. მესხიშვილი, მერი. ნობაძე, ლამარა. ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები). თბილისი.

ბინაძე, სოფიო. 2015. რელიგიური დღესასწაულები ხევში. თბილისი.

გამყრელიძე, გელა. მინდორაშვილი, დავით. ბრეგვაძე, ზურაბ. კვაჭაძე, მარინე. 2013. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. 1941. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჭიქიამ. თბილისი.

დვალი, თამაზ. 2019. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. თბილისი.

ერიაშვილი, ჟუჟუნა. 1982. *უძვედესი სოციალუ-ხედიგიუხი ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში*. თბილისი.

ერიაშვილი, ჟუჟუნა. 1987. ბერის ინსტიტუტის საკითხისათვის საქართველოში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1. თბილისი. 118-135.

თაყაიშვილი, ექვთიმე. 1907. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი პირველი. ტფილისი: გამომცემლობა ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთ ამხანაგობისა.

თოფურია, ვარლამ. 1979. კნინობითი ქართველურ ენებში. შრომები III. თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება.

კობერიძე, მარიამ. 2022. აღექსანდრე ხახანაშვილის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია*. VII. გორი. 287.

კობერიძე, მარიამ. 2023. „ბერად დაყენების“ რიტუალი აღმოსავლეთ საქართველოში. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია*. X. გორი. 252-260.

მაისურაძე, ილია. 1979. ბერ- ძირი ქართულ სახელ-გვარებში. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. 1, 22. თბილისი.

მაკალათია, სერგი. 1934. ხევი. თბილისი.

მენაბდე, ლევან. 1962. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ.1. ნაკვთ. 2. თბილისი.

მესხიშვილი, მერი. 2006. ქართული ლექსიკონი (მასალები). თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ორბელიანი, სულხან-საბა. 1991. ლექსიკონი ქართული. I. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

ჟორდანია, თედო. 1997. ქრონიკები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. II. ტფილისი.

სურგულაძე, ირაკლი. 1989. ერთი საქორწილო წესის მითოსური და სოციალური ბუნებისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1, 40,41. თბილისი.

ქართლის ცხოვრება. 1959. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 2008. ტ. I, თბილისი.

ლუდუშაური, იორამ. 2011. მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი.

შანიძე, აკაკი. 1953. ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა თსუ.

ჩიქობავა, არნოლდ. 2008. ჭანურ-მეგრულ შედარებითი ლექსიკონი. შრომები. IV. თბილისი.

ცხადაია, პაატა. 2000. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბილისი.

ჭუმბურიძე, ზურაბ. 1987. დედაენა ქართული. თბილისი: გამომცემლობა ნაკადული.

ხახანაშვილი, ალექსანდრე. 1988. მგზავრის დღიურიდამ. ივერია, # 181. ტფილისი. 2-3.

ხორნაული, გიგი. 2003. ქართული ონომასტიკა. თბილისი.

ჯავახიშვილი, ივანე. 1928. ქართული სამართლის ისტორია. II. ნაკვეთი 2. ტფილისი: გამომცემლობა „ტფილისის უნივერსიტეტი“.

ჯავახიშვილი, ივანე. 1937. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა: ქართველი ერის ისტორია. თბილისი: სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჯავახიშვილი, ივანე. 1960. ქართველი ერის ისტორია. I. თბილისი.

Март, Нико. 1935. Избранные работы. I, Ленинград.